ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302522373**
თარიღი: **11/08/2025**

**ადრესატი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს***

***თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს***

***ბატონო ბესიკ,***

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის” (ს/კ 402157330), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

**1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 17 თებერვალს წერილობით (კანცელარიის N 04-302504887-30 - 17.02.2025 წელი) მომართა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ (ს/კ 402157330) დირექტორმა, მალხაზ ჟორჟიკაშვილმა, რომელმაც „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ – „სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების მიზნით, ითხოვა, 2 წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოჩხათის მე-4 ქუჩის N45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული სამი ოთახის, კერძოდ 14.10 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/500) - 14,88 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/502) და 22,81 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/504) ფართების უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემა.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის

უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, პირდაპირი განკარგვის წესით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით, გარდა სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოების, სხვა მუნიციპალიტეტების, საჯარო სამართლის იურიდიულ პირების (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, 202486559 მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის” (ს/კ 402157330) ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა.

## 2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

## 3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

## 4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის**
**ქონებების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური**

წერილის ნომერი: **08-302521213**
თარიღი: **31/07/2025**

**ადრესატი:**

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს**

**ბატონ ალექსანდრე სარიშვილს**

**ბატონო ალექსანდრე,**

მოგახსენებთ რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-ს შორის 2023 წლის 17 თებერვლის N 2, N 3 და N 4 უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებით ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგ"-ს 2 წლით უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ჩოჩხათში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული უძარვი ქონებები კერძოდ სამი ოთახი ( ს/კ 27.13.43.001.01.500 -14.10კვ.მ. 27.13.43.001.01.502 - 14,88 კვ.მ. და 27.13.43.001.01.504 - 22,81 კვ.მ. ), რომლებსაც ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი" იყენებდა „სოფლის ექიმის" კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად, ზემოთ ნახსენებ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 17 თებერვალს N 100039522500177465 წერილით მომართა (კანცელარიის N 04-302504887-30 - 17.02.2025 წელი) ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-ს (ს/კ 402157330) დირექტორმა მალხაზ ჟორჟიკაშვილმა რომელშიც ითხოვს ზემოთ ხსენებულ უძრავ ქონებების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემას 2 წლის ვადით რათა განაგრძონ „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N 4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო სახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" – „სოფლის ექიმის" კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგ"-ს (ს/კ 402157330) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ჩოჩხათში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული უძრავი ქონება სამი ოთახი ( ს/კ 27.13.43.001.01.500 -14.10კვ.მ. 27.13.43.001.01.502 - 14,88 კვ.მ. და 27.13.43.001.01.504 - 22,81 კვ.მ. ) გადაეცეს უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით.

ზემოთაღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება, გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას.

**პატივისცემით:**

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-სამსახურის უფროსი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი
GEORGIAN MEDICAL HOLDING

1000395 2 25 00177464 17/02/2025

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს'' შორის გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს'' ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადმოეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართი, სადაც ფუნქციონირებს სოფლის ამბულატორია. აღნიშნულ უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა, შესაბამისად საჭიროა ხელშეკრულების განახლება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, შესაბამისად, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადმოგვცეთ თქვენს საკუთრებაში არსებული ფართი, სადაც დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს სოფლის ამბულატორია.

1) ს/კ 27.13.43.001.01.500; 27.13.43.001.01.502; 27.13.43.001.01.504; 27.13.43.001.01.508; 27.13.43.001.01.509 - სოფელი ჩოჩხათი (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართები);

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორი
მალხაზ ჟორჟიკაშვილი

საქართველო, თბილისი, 0160, ფაქტობრივი მის: ვაჟა–ფშაველას გამზ. 29, Vazha-Pshavela Ave., 0160 Tbilisi, Georgia.
email: info.holding@moh.gov.ge

პროექტი

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**განკარგულება №**
**2025 წლის აგვისტო**
**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" (ს/კ 402157330), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1**. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, 202486559 მიერ დაფუძნებულ **ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" (ს/კ 402157330)** მისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოჩხათის მე-4 ქუჩის N45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული სამი ოთახი, კერძოდ 14.10 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/500) - 14,88 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/502) და 22,81 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/504) ფართები.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ბესიკ ტაბიძე**

წერილის ნომერი: **30-302522373**
თარიღი: **11/08/2025**

**ადრესატი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს***

***თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს***

***ბატონო ბესიკ,***

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ (ს/კ 402157330), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

**1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 17 თებერვალს წერილობით (კანცელარიის N 04-302504887-30 - 17.02.2025 წელი) მომართა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ (ს/კ 402157330) დირექტორმა, მალხაზ ჟორჟიკაშვილმა, რომელმაც „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ – „სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების მიზნით, ითხოვა, 2 წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოჩხათის მე-4 ქუჩის N45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული სამი ოთახის, კერძოდ 14.10 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/500) - 14,88 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/502) და 22,81 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/504) ფართების უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემა.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის

უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, პირდაპირი განკარგვის წესით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით, გარდა სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოების, სხვა მუნიციპალიტეტების, საჯარო სამართლის იურიდიულ პირების (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, 202486559 მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" (ს/კ 402157330) ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა.

**2. პროექტის ფინანსური დასაბუთება**

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

**3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი**

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

**4. პროექტის წარმდგენი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 27.13.43.001.01.502**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 882025892709 - 30/07/2025 15:44:58** | **05/08/2025 13:08:15** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | კოდი |
|---|---|---|---|---|
| ლანჩხუთი | ჩოჩხათი | | | |
| **27** | **13** | **43** | **001** | **01/502** |

**მისამართი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩოჩხათი, მე-4 ქუჩა, N 45**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **საკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:**722.00** კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობები: **შენობა N1 ფართით I სართული 478.05კვ.მ., II სართული - 482.37კვ.მ.**

## მესაკუთრეები

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022729407 , თარიღი 06/10/2022 16:29:48**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 12/10/2022**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- ბრძანება N274 , დამოწმების თარიღი:30/04/2018 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
- ბრძანება Nბ30.30223214 , დამოწმების თარიღი:17/11/2022 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
- წერილი N30-302228525 , დამოწმების თარიღი:12/10/2022 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ძირითადი და დამატებითი სახით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება N19 , დამოწმების თარიღი:18/02/2009

**მესაკუთრეები:**
**სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი**, ID ნომერი:233730139

| მესაკუთრე: | საკუთრების ტიპი: | საკუთრება: | | ფართი: | წილი: |
|---|---|---|---|---|---|
| სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი | საკუთრება | **ფართი** | **სართული1,** | 14.88 კვ.მ. | |

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

---

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 27.13.43.001.01.504**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

**განცხადების რეგისტრაცია**
**N 882025892730 - 30/07/2025 15:47:15**

**მომზადების თარიღი**
**05/08/2025 11:00:44**

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | კოდი |
|---|---|---|---|---|
| ლანჩხუთი | ჩოჩხათი | | | |
| 27 | 13 | 43 | 001 | 01/504 |

**მისამართი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩოჩხათი, მე-4 ქუჩა, N 45**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **საკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:**722.00** კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობები: **შენობა N1 ფართით I სართული 478.05კვ.მ., II სართული - 482.37კვ.მ.**

## მესაკუთრეები

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022862797** , **თარიღი 17/11/2022 17:49:26**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/11/2022**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**
- ბრძანება N274 , დამოწმების თარიღი:30/04/2018 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ძირითადი და დამატებითი სახით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება N19 , დამოწმების თარიღი:18/02/2009
- ბრძანება Nბ30.30223215 , დამოწმების თარიღი:17/11/2022 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
- წერილი N30-302232166 , დამოწმების თარიღი:17/11/2022 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

**მესაკუთრეები:**
**სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი** , ID ნომერი:233730139

| მესაკუთრე: | საკუთრების ტიპი: | საკუთრება: | | ფართი: | წილი: |
|---|---|---|---|---|---|
| სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი | საკუთრება | **ფართი** | **სართული1,** | 22.81 კვ.მ. | |

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge